

წრომის ამაღლების სახელობის ტაძარი



სოფელი წრომი, ზღვის დონიდან 795 მ-ზე. ვახტანგ გორგასლის ეპოქის სული ტრიალებს მის სანახებში. იმ უტყუარი ცნობებით, რომელიც დაგვიტოვა XII საუკუნის ანონიმა ავტორმა თავის თხზულებაში “წამებაი და ღვანლი წმინდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისა”. წრომის აღმნიშვნელობის სამანები V საუკუნის კიდევ უფრო სიღრმეში უნდა ვეძიოთ, ერთ დროს დიდი ქალაქური დასახლებიდან დღეს პატარა, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე სოფელი დარჩენილა.

საქართველოს ისტორიის ქარცეცხლი გაუვლია, აოხრებულა, გადამწვარა და დაცლილა, ისე რომ მამალიც აღარ ყიოდა, მაგრამ გვეამაყება ტაძრებით განებივრებულ ჩვენს ქვეყანაში ასეთი დიდი სალოცავის პატრონი რომ ვართ. მაცხოვრის ფრთებქვეშ შეფარებულ სოფელს თავისებურად ურწმენია და შეუსისხლხორცებია თავისი სალოცავი. სწამთ და სჯერათ რომ მისი წყალობით ღმერთი დააბიჯებს მათ მიწაზე, წმინდა არის წრომის ადგილები, რამეთუ წმინდა რაჟდენის სისხლით არის მორწყული, ღმერთისაგან დალოცვილი და კურთხეულია. მრავალ ჭირს გაუძლო ჩვენმა სალოცავმა, ჰყავდა უთვალავი მრევლი, მტერიც მიუღია და მოყვარეც. საქონლის სადგომად გაუხდიათ. მისი უზადო ფრესკები დაუთხრიათ, ხატები

შეუბილწავთ და კედლები კირით გაუთეთრებიათ. წირვა აუკრძალავთ და ვინ მოთვლის კიდევ. არც სტიქიამ დააკლო. გუმბათი დაანგრია, კედლები ჩამოშავდა, მაგრამ ვერ აღგავა მიწიდან პირისა, გადარჩენილა სოფელი და მისი სალოცავიც.

ადრეფეოდალური კულტურის ძეგლებიდან დღემდე ძალიან ცოტა შემგვრჩა. ერთ-ერთი მათგანია წრომის ტაძარი.

ვახუშტი ბატონიშვილი წრს: “ჩრდილოეთით გორას იქით და სამწევრს ზევით არის მონასტერი ყოვლადწმინდისა წრომისა, გუმბათიანი, მშვენიერი”. ტაძრის მთავარ სარკმელთან მოთავსებული წარწერით დგინდება მისი თარიღი 626-634წ.წ. ერისმთავრის სტეფანოზ იპატოსის დრო. სტეფანოზ იპატოსი ცნობილი სტეფანოზ II, რომელმაც ააშენა ტაძარი. ძველი წარწერებიდან დღეისათვის მხოლოდ ეს გადარჩენილა, დროთა სვლას აღუგავია მისი კედლებიდან ლამაზად გამოყვანილი ქართული ასომთავრული წარწერები. ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ შემოგვინახა აღნიშნული წარწერის ფრაგმენტები, საიდანაც ვგებულობთ, რომ “ესე ჰვარი ძლიერი მამოს თაბორის ლოცვითა აღვმართეს სალოცავად”. მისივე აზრით ეს იყო კათალიკოსი თაბორი, რომელიც ცხოვრობდა სტეფანოზის დროს და რომლის ლოცვა-კურთხევითა აღუმართავთ ჰვარი. თედო ჟორდანიას ერთ-ერთ სვეტის პირზე უნახავს კიდევ ერთი წარწერა – “სახელითა ღვთისათა წმინდისა რაჟდენისაი”.

წმინდა რაჟდენი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისა სპარსთა მიერ, “ქართლსა შინა სოფელსა შინა წორმს”, ვკითხულობთ წამებაში.

ტაძრის საკურთხეველი შემკული ყოფილა ფოთლოვანი ორნამენტის მოზაიკით ქრისტეს გამოსახულებით, მას მარცხენა ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს, გრაგნილზე შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, მარჯვენით აკურთხებს ორივე მხარეს, გვერდით ანგელოზნი ედგნენ, საკურთხევლის სარკმლის თავში სამი მედალიონი ყოფილა. ტაძრის დანარჩენი კედლები და კამარა მოუხატავი იყო. მოზაიკაზე იყო წარწერაც. აქვე იყო ფრესკული მხატვრობა, ქრისტეს დიდების კომპოზიცია, რომელიც ამალლების თემას უკავშირდება. მოზაიკამ დღემდე ფრაგმენტების სახით მოაღწია და გადარჩენის მიზნით 1932 წელს ჩამოხსნეს. ამჟამად იგი დაცულია ხელოვნებს მუზეუმში.

ტაძარი დღემდე ინახავს თავის სინმინდეებს, სოფლის რამდენიმე ბრწყინვალე ქვა კვლავ ამშვენებს ტაძრის საკურთხეველს. 1731 წელს ტაძარი დააზიანა ლეკთა თავდასხმამ. ბოლოს კი 1940 წელს მესამე მიწისძვრამ მთლიანად გაანადგურა ძეგლი, სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ ტაძარს დაადგეს საცდელი ხის გუმბათი. მტრის შემოსევის დროს ამ დიდებულ ტაძარს თავდაცვითი მნიშვნელობაც ჰქონდა, წრომის მოსახლეობა თავს აფარებდა მის მაღალ ძლიერ გალავანს. გალავანი დღესაც აქვს ტაძარს გარშემოვლებული.

თეა ცაგურიშვილი
karibche.ambebi.ge